გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



## სასწავლებელი და პანსიონი
## ჯორჯიკიასი
(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამ მანეთს თვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—17)


**მცხეთის დედათა სასწავლებლის სამმართველოსაგან.**

მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ნებადართვით ეცხადებათ მშობელთა და ნათესავთა მოსწავლე და ახლად მისაღებ ქალებისათა, რომ მცხეთის დედათა სასწავლებელში ეს ქალები უნდა მოიყვანონ 2-ს ოქტომბერს.

სამმართველოს წევრი ა. არდაზიანი.

(2—1)

ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ $18^{92}/_{93}$ წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ.

(10—7)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საუწყებლად ვაცხადებ, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება და ხელ-მეორე ეგზამენები დაიწყება 15 სექტემბრიდგან. I განყოფილებაში 40 ადგილია თავისუფალი, II-ში—20, III-ში—17 და IV-ში—10. შემომსვლელთ საბუთები ჩვეულებრივუნდა წარმოადგინონ.

სასწავლებლის მმართველი ს. ყიფიანი

(4—4)

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ დიმ. ქვლივიძის მიერ სადგურ განჯაში შეგროვილი 12 მან. სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ. ამ ფულისა გვქონდა 969 მან. 85 კაპ. ამითი შესდგა 981 მან. 85 კაპ.

*** დღეს, 16 სექტემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. მორიგ საქმეთა გარდა, კრება მოისმენს მკურნალ სახაროვის ორს მოხსენებას: თირკმელების დამუწუკებისა და ტვინის შერყევის შესახებ.

*** თავ. აკაკი წერეთელს ერთი ლეგენდა დაუწერია, რომლის შინაარსიც ჩვენში ხოლერის გაჩენას შეეხება. ეს ლეგენდა ქუთაისში იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად.

*** მოსკოვის საიმპერატორო საარხეოლოგიო საზოგადოების მიერ კავკასიაში გამოგზავნილმა ბ-ნმა კულიკოვსკიმ და სტოევმა დაათვალიერეს ჩრდილოეთ კავკასიასა, ოსეთში და მცხეთას ახლო აკლდამები. ამ აკლდამების შესახებ მოხსენებას საარხეოლოგიო საზოგადოებას წარუდგენენ.

*** არზრუმიდგან რუსეთის ელჩი იუწყება, რომ არზრუმის ახლო, სოფ. დალი-ბაბას ხოლერა გაჩნდაო.

*** 8 სექტემბერს ტფილისში სიღნაღის მაზრის სოფ. საკაბოს მცხოვრებმა ჯიმტო ფხოველაშვილმა ხანჯლით მოჰკლა იმავე სოფლის მცხოვრები სტეფანე კერალაშვილი.

*** ახალციხიდგან გვწერენ, რომ მთელს მაზრაში მოსავალს ცუდი პირი უჩანსო. გოლვის შემდეგ გამუდმებული წვიმები მოვიდა, წვიმას სეტყვა მოჰყვა და ყანები ძლიერ დააზიანა.

*** ფოთი: 13 სექტემბერს რკინის გზის დეპოს დარაჯი ჩავარდა მატარებელს ქვეშ. დარაჯს მარჯვენა ფეხი მოჰგლიჯა მატარებელმა.

*** სურამი: გუშინ, 15 სექტემბერს, გაუქმდა საზაფხულო სარკინისგზო სამკურნალო.

*** კეხისჯვარი: ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქეთ. დღეს სწორედ ერთი თვე შესრულდა, რაც ჩვენს სოფელში ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა. აღარ არის ავადმყოფობა აგრეთვე ყინცვისსა, სანებელსა და ვედრებაში. ადვილად გადავრჩით ყველა ზემოხსენებული სოფლები. თუმცა სანებელის, ვედრებას და ყინცვისის მცხოვრებნი ტყეში იყვნენ დახიზნულები, მაგრამ უმეტესი ნაწილი გლეხობისა სამი-ოთხის დღის შემდეგ ისევ დაბრუნდა სახლებში. თითოეულს ზემოხსენებულს სოფელში 3—4-ზედ მეტი არ გარდაცვლილა, თუმცა სამი კვირა დაგვტრიალებდა თავს ეს საშინელი სენი. ზემო და ქვემო კეხისჯვრებში გარდაიცვალა შვიდი. კეხისჯვარში ფიქრადაც არავის მოსვლია დახიზვნა, ორ კომლ აზნაურსა და ორ კომლს გლეხ-კაცის მეტსა. აქ-კი ორმოც-დაათამდინ კომლი გლეხი სცხოვრობს, თხუთმეტი კომლი აზნაურშვილი და სამი კომლიც თავადიშვილი. ყველანი, რაც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ოც-და-ხუთს ავადმყოფში შვიდი გარდაიცვალა, ისინიც ასეთები, რომლებიც სხვა-და-სხვა ძნელი ავადმყოფობით იყვნენ ავად და ზედ ხოლერაც დაერთო. დანარჩენები სრულებით კარგად მორჩნენ. დიდი ამაგი დასდეს სოფელს თავ. მიხ. ირ—ძემ ციციშვილმა, რომელმაც თავის ხარჯით მიაშველა სოფელს ყოველგვარი საჭირო წამლები და ს. ციციშვილისამ, რომელმაც არავითარი შრომა არ დაზოგა ავადმყოფთა მოვლისა და სიკვდილისაგან გადარჩენისათვის.

*** ოსეთი (ბარისა). ამ ჟამად ბარის ოსეთის ზოგ ზოგს სოფლებში, საქონლის ჭირი, თურქული და პირის ტკივილი მძვინვარებს; თურქული და პირის ტკივილი ეს მეორედ გაჩნდა აქეთ; პირველად გაზაფხულზედ, ხვნის დროს და, რასაკვირველია, ხელი შეუშალა ხვნას, და ეხლაც სწორედ ხვნის დროს გაჩნდა.

*** ზესტაფონი: ხოლერამ ჩვენს მაზრაშიაც დიდი თავ-ზარი დასცა ხალხს. ამ მოულოდნელმა სტუმარმა ისე დააფაცურა ხალხი, რომ ყველა სხვა საქმეს თავი დაანებეს და შეუდგნენ მზადებას ხოლერის დასახვედრად. დაიწყეს სოფლების გასუფთავება და მავნებელი საჭმელი აიკრძალეს, ისე მზად ვიყავით, რომ ხოლერა კიდეც რომ გაჩენილიყო, ბევრს ვერაფერს დაგვაკლებდა. დღეს ჩვენ საზოგადოებაში და აგრეთვე ზემო იმერეთში უშიშრად ვართ და ვიმედოვნებთ, რომ ამას იქით აქ ხოლერა აღარ გაჩნდება.

გადავრჩით ხოლერას და მადლობას ვსწირავთ უფალს. დიდი და პატარა დავიარებით ეკკლესიაში წირვა-ლოცვაზედ, და ვევედრებით ღმერთს, რათა მან დაგვიფაროს ყოველის ავის სენისაგან; დავიარებით წირვა-ლოცვაზედ, მაგრამ რა გამოვიდა, თუ არ გვესმის მღვდლის წირვა-ლოცვა და გალობა. დღემდის თუ გვესმოდა ეკკლესიაში „მოხედენ“ „უფლისა მიმართ ვილოცოთ“ „უფალო შეგვიწყალენ“ და „წმინდაო ღმერთო“ დღეს რა უბედურებაა ჩვენს თავს, რომ არც ერთი აღარ გვესმის. ზოგიერთ ეკკლესიებში ზოგიერთი მღვდლები რუსულად სწირავენ ხოლმე. ზოგიერთ ეკკლესიებში, ამასთანა დღესასწაულებში ბევრგან მოსპეს მღვდლებმა ქართული წირვა-ლოცვა და გალობა და ნაცვლად ამისა რუსულად სწირავენ და გალობენ. მაგალითად, ამას წინად, 15 ივლისს, სოფ. წევაში ქართულის მაგიერად, რუსულად იგალობეს ერთის სემინარიაში კურს-დამთავრებულის კაცის, ბ-ნ კორნელი მაღრაძის ლოტბარობით, რომელმაც სოფლებში დიდი სახელი გაითქვა რუსულის გალობის ცოდნით. ასეთივე ლოტბარი გამოჩნდა ს. დეისში ბ. დანიელ ცქვი-

## ფელეტონი

### „ყველაი დავკარგე!..“

(დასასრული *).

### III

ქ. დუშეთის გამონაპირებით, ზედ გზა-ტკეცილის პირად ორ სართულიანი სახლები სდგას, რომელშიაც მოთავსებულია დუქანი და სადგომი ოთახები. წინ დიდი ბაკი აქვს. ეს დუქანი თავის სადგომ ოთახებით და ბაკით იმითია შესანიშნავი, რომ ტფილისს, თუ კავკავს მიმავალი არ ასცდება. ამის გამო დღე მუდამ სავსეა ხოლმე მუშტრით. ნამეტნავად საღამოობით მოატყდება ხოლმე ფურგუნები შიგ მსხდომითა და აქ ათევენ ღამეს“. დუშეთის ლოთი-ფოთი ბიჭები, ხშირად ვითომ-და „ბლაღოროდნებიც“ გადმოდიან აქ საღამოობით და დროს ატარებენ ფურგუნებით მოგზაურ ქალებთან. კვირა საღამო იყო. კავკავიდგან მომავალმა რამდენმამე დასაპალნებულმა ფურგუნმა ჟღრიალით შეიგრიალა ბაკში, საიდგანაც მაშინვე გადმოლაგდა აჭრელებულ კაბებით სხვა-და-სხვა სისქისა და სიმაღლის ლოყებ-დაბრაწული ქალები. ზოგი მათგანი ზემო სართულში ავიდა, ზოგი-კი დუქანში შევიდა და სასმელ-საჭმელი შეუკვეთეს. მეფურგუნეებმაც დააბინავეს ცხენები და ისინიც საჭმლის ზრუნვას შეუდგნენ. ჩქარა გააჩაღეს სამოვრები და გარს შემოეხვივნენ. მოვიდა კიდევ რამდენიმე ფურგუნი.

არც დუშელებს დაუგვიანიათ. იმათაც კანტი-კუნტად დაიწყეს დენა, გაიმართეს სტოლები და დაიწყეს სმა და ჭამა. ვინც „ბლაღოროდნები“ იყვნენ, იმათ ოთახებში შეჰყვეს თავები და იქიდგან ულოცავდნენ ბალკონზედ მსხდომს ქალებს.

ქვევით ეზოში სამმა ჯარის კაცმა დაიდგა სტოლი და ღვინის სმა დაიწყეს; გაიმართა საზოგადო სმა და ქამა. რამდენიმე ჯარის კაცი ხან იქ აეყუდებოდა და ხან აქ; ისინი უმზერდნენ მოქეიფეთ და პირს ნერწყვი მოსდიოდათ, მაგრამ რას იზამდნენ, როდესაც ფული არ ჰქონდათ ჯიბეში და ამის გამო ქეიფის ჟინი მარტო ცქერით უნდა მოეკლათ. კარგა ხანს შესცქეროდნენ და, როდესაც მოეწყინათ ხმელად ქეიფი, შინისკენ გასწიეს იმ განზრახვით, რომ, როდესაც ფულს იგდებენ ხელში, აქ იქეიფონ.

— ეი, მათუშკი, ჩვენთან წამოდი, აი ფულები!.. შეჰყვირა ქვევიდგან ერთმა ჯარის კაცთაგანმა ზევით ქალებს, როდესაც რამდენსამე ჭიქის შემდეგ თავში შეუსხდნენ...

— ხა, ხა, ხა!.. გადიხარხარეს ზემოდ ქალებმა: გინდათ, რომ მანდ ჩამოვიდეთ?

— ჰაი, ჰაი, რომ გვინდა! უპასუხა ისევ იმან.

ამ პასუხზედ წამოდგა ერთი კარგა ჩასუქებული ქალი და კიბეზედ მძიმედ ჩამოვიდა. იმას უკან მოჰყვა მეორე, ცოტა ამაზედ მქლე.

— ბარამ, კარგისეები მოდიან, აი! წამოიძახა ერთმა, როცა ქალები ამათკენ წამოვიდნენ.

— ლომისის მადლმა, ის ერთი საბნათაც გვეყვის და ლეიბათაც! უპასუხა ბარამმა.

— მოდით, თქვენი კვნესამე, მოდით!... თითქმის ერთ-ხმად უთხრეს სამთავემ და ფეხზედ წამოუდგნენ.

ქალებმა იმათი ადგილები დაიჭირეს და ღვინო გადაჰკრეს.

— ნინიავ, მაიტა რამ, ჩვენც დავსხდეთ! უთხრა ბარამმა და, როდესაც ნინია დუქანში შევიდა, მეორეს მიჰმართა:

— ნიკოლავ, შენც გაქვს ფული?... შინადგან რომ ჩამოვიტანე, ვაი თუ არ გვეყოს.

— რამითი გაქვს?

— ექვსი.

— გვეყოფის, ბარამ, მეც მაქვს ორი. უთხრა ნიკოლამ და ღვინო დაასხა.

ნინიამ გამოიტანა გრძელი სკამი და პირდაპირ ჩამოუჯდა ქალებს, რომლებმაც ეშმაკურად შეჰხედეს და რაღაც წასჩურჩულეს ერთმანეთს.

— ბედნიერავ, მოეწონევი! უთხა ნიკოლამ ნინიას და მუჯლუგუნი წაჰკრა...

ლაზღანდარობითა და სიცილით ბლომად დალიეს ღვინო. ქალები ისე დაითვრნენ, რომ აღარ ესმოდათ, რას ამბობდნენ და რას არა და უშვერის პირითა ჰლანძღავდნენ ბარამს, ნინიას და ნიკოლას..

— ნინიავ, იმღერე რამ! წასძახა ბარამმა და თითონვე დაიწყო:

მთიული ვარ და მთას წავალ,
იქა მყავს დედი ძმანია!..

ნინიამ და ნიკოლამ კიდევ მეორე უთხრეს და მწყობრისად იმღერეს.

— გაჩუმდით, გაჩუმდით! ხელების ფართხვით შეაყენა მომღერლები ჩასუქებულმა. რა ტურებივითა ჩხავით!.. აბა ეხლა ჩვენ ვიმღერებთ. სთქვა ისევ იმან და ახლა თითონ დაიწყო.

— შენ გენაცვალე, მა ტუჩებში!.. წამოიძახა ბარამმა და საკოცნელად მიეტანა, როცა იმან სიმღერაში თავი ამისკენ გადმოიღო...

*) იხ. „ივერია“, № 194.

ტიშვილი, რომელმაც აგრეთვე რუსულად აგალობა თავისი შეგირდები, თუმცა ქართულადაც კარგად იციან გალობა. გალობას ვიღა სჩივის, წირვა-ლოცვა მაინც არ შემოელოთ რუსულად ზოგიერთა მღვდლებს! მაგალითად 15 აგვისტოს ს. ლელვანში, სადაც დღეობა (მარიამობა) იყო, დიდძალი ხალხი დაესწრო ეკკლესიაში და სულ ქართველობა. ამ დღეს აქაურმა მღვდელმა, მ. იოანნე ვეფხვაძემ, დაუთმო ეწირნა თავისს შვილს სემინარიაში სწავლა დამთავრებულს მღვდელს ფარნაოზს, რომელმაც უმეტესი ნაწილი წირვისა აასრულა რუსულად, მაგრამ მისი წირვა მასვე რჩებოდა სასიამოვნოდ ® არა ხალხს. ძალიან გვიკვირს ეს ამბავი. მ. ფარნაოზს უქებდნენ ქართულს წირვას და ჩვენც მოუთმენლად ველოდით იმის წირვის მოსმენას ლელვანში, მაგრამ რად გვინდოდა, თუ წირვას არ გაგვაგებინებდა. ღმერთმა ისევ ჩვენი მოხუცებული მღვდელი მ. იოანნე გვიცოცხლოს, რადგან ის მაინც გვიწირავს ხოლმე ქართულად. ბევრნი ეკკლესიაში მდგომნი ამბობდნენ წირვის შემდეგ: „მე დღეს აქ საიდგან მოვსულვარ ® არა მესმის რაო; ზოგნი-კი ამბობდნენ: რა კაი ხმა ჰქონია ამ ჩვენის მღვდლის ნასწავლ შვილს, მაგრამ რაღაცას ამბობდა, ჩვენ ვერ გავიგეთო.

*** ბანძა (სენაკის მაზრა). ბანძის საზოგადოების მცხოვრებლები წრეულს ძლიერ დაქვეითებულნი არიან, რადგანაც მოსავალს ძლიერ ცუდი პირი უჩანს. მიზეზი ის არის, რომ პირველ ივლისიდგან ივლისის თთვის [illegible] ერთი წვეთი წვიმა არ ჩამო[illegible]ბა, რომელმაც დაახმო და დაჰკნო მცენარეობა, შეჩერდა თოხნა და სხვა ამ გვარი მუშაობა; გახმა და გაქვავდა მიწა; ამ უშველებელ პაპანაქებას გვერდში ამოუდგა ზენა ქარი, შეუერთდა ორივე ძალა ერთმანეთს, გაჰკრეს და გამოჰკრეს, მილეწ-მოლეწეს და მიფშვნიტ-მოფშვნიტეს ყოველივე მცენარეობა. ამ საშინელებას ხალხი შეჰყურებდა გულ-ხელ დაკრეფილი და არავის არ სურდა დაეხედნა თავის ნაამაგევ ყანებისთვის, რადგანაც ეს ყანები ღელესა ჰგავდა გლოვისასა. ბოლოს ეღირსა ქვეყანას წვიმა, მაგრამ ბევრი არაფერი სარგებლობა არ მოუტანია, რადგანაც დამტვრეული და დამხმარი სიმინდები ველარ გამოაბრუნა, მხოლოდ ცოტაოდნად გამოაკეთა ყანის ის სიმინდები, რომლებიც გვიან იყო დათესილი. რაც შეეხება ადრევე დათესილ ყანებს, ის წახდა და გაფუჭდა.

ეს მწუხარება სულ დაგვავიწყა მოულოდნელმა შიშმა ხოლერის მოახლოვებისამ. ამ გვარი ლაპარაკით დაფრთხა სოფლები და იმისთანა შიშიტრიალებს, რომ ერთი მეორეს აფრთხობს. მაგრამ ჯერ ღვთის მადლით ჩვენში ხოლერა არ არის; სამწუხაროდ რითიც უნდა გახდეს ავად კაცი ახლო არავინ გვეკარება, ხოლერა ჰგონიათ. წარსულ თთვეს რამდენჯერმე მოხდა საზოგადოების ყრილობა და ეუწყა მთავრობის სურვილი, რომ აშენებულიყო საავადმყოფო. ამ განკარგულებაზედ ხალხმა იყვირა. რას ჰქვიან საავადმყოფო სახლიო! ჩვენი ავადმყოფი ჩვენსავე სახლში მოკვდესო. იქ რომ წაიყვანენ, წამლით დახოცავენ ექიმებიო და ან ცოცხლად დაჰმარხავენო; ამიტომ ერთხმად უარი განაცხადეს. იმავე დღეს მოვიდა ბოქაული და სოფლის მოხელეებს ძალად აყიდვინა სახლი და დაუნიშნა ადგილი, სადაც უნდა აეშენებინათ. ამორჩეულთ დაიწყეს სახლის აგება. ამ დროს მოცვივდნენ ადგილობრივი თავადიშვილები და სულ ხანჯლით ნახევრად აგებული სახლი მიანგრ-მოანგრიეს.

*** კავკავი: ექვს სექტემბერს იყო გამართული კავკავის ბაღში სეირნობა, კავკავის ქართულის სკოლის სასარგებლოდ; ბაღი მეტად მშვენივრად იყო მორთული. ამინდმაც ხე[illegible] ჩაიარა სეირნობამ. შემოსავალი სულ ას-სამოცი თუმანი იყო, ასე რომ, ხარჯს გარდა ასი თუმანი ნაღდი დარჩა სკოლას; სეირნობის შემოსავალი, რა საკვირველია, კიდევ უფრო მომეტებული იქნებოდა, რომ ამ დროს კავკავის ჯარის ბანაკი დაშლილი არა ყოფილიყო. დიდს მადლობას უძღვნის სკოლის კომიტეტი კნ. ღ. ჭავჭავაძისას, რომელმაც დიდი შრომა მიიღო და ყოველის მხრით შემწეობა და თანაგრძნობა აღმოუჩინა სეირნობის გამართვას; აგრეთვე ყველა იმათ, ვინც-კი რითიმე შემწეობა აღმოუჩინა სეირნობის გამართვას. კომიტეტიც ღირსია მადლობისა. კავკავის ქართველობის მიერ კომიტეტმა ყოველივე ღონისძიება მიიღო, რომ სეირნობას კარგად ჩაევლო. ახლა ღვთის მადლით და კეთილის ხალხის დახმარებით, კავკავის ქართულ სკოლას საკმაო ფული აქვს და სასკოლო შენობის ასაშენებლად ადგილიც ხომ თვით ქალაქმა დაუთმო. სასურველია მხოლოდ, რომ კომიტეტი მალე შეუდგეს ამ საქმეს.

*** გაზეთი „Нов. обоз.“ იუწყება, ტფილისში სომხური წარმოდგენები 20 სექტემბერს დაიწყებაო. პირველ წარმოდგენისთვის დანიშნულია თურმე იბსენის პიესა: „მკურნალი შტოკმანი“.

*** გაზეთს „მშაკს“ სწერენ ქ. შუშიდგან: ამ დღეებში შუშაში გარდაიცვალა მთელს ქალაქში ცნობილი მდიდარი კაცი, სარქის კრასილნიკოვი. განსვენებულის მემკვიდრეებმა შესწირეს ადგილობრივს სომეხთა სკოლას 800 მანათი, ქალთა სასწავლებელს 800 მან. სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების ადგილობრივს განყოფილებას 500 მან., სომეხთა ეკკლესიას 200 მან., განძასარის მონასტრის განახლებისთვის 400 მან. და სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასასარგებლოდ 200 მან., სულ 3,000 მან.

*** სომხური გაზეთები იუწყებიან, რომ სტამბოლში სომეხთა სკოლების მასწავლებელთ განზრახვა აქვთ, საპედაგოგიო ჟურნალი ჰბეჭდონ სომხურს ენაზედაო.

*** [illegible], 15 სექტემბერს. ალექსანდრეს ბაღში უკანასკნელი სადილი გამართა ღარიბთათვის. ხალხი ბლომად დაესწრო. ყველას, მდიდარსაც და ღარიბსაც, სიამოვნება და სიხარული ეტყობოდა; ღარიბ მდაბიო ხალხს უფრო წარჩინებულ კაცთა და ქალთა თავმდაბლობა აკვირვებდა. ისინი გულ მოდგინედ ეწეოდნენ მოსამსახურობას: ზოგი ჯამით წვნს აწვდიდა მოსადილეთა, ზოგი—პურს და ზოგიც—მარილს და სხვა. ერთის სიტყვით, გუშინდელი სანახაობა კაცს ძალა უნებურად აღუძრავდა ქველ-მოქმედებისა და თავ-მდაბლობის სურვილს. მუქთისა და უსასყიდლო სასადილოების გაუქმების შემდეგ აპირობენ იაფ ფასის სასადილოების გამართვას.

—

**შეცდომის გასწორება**: წერილში „ჩემი თარგმანები ჩანგში“ დაბეჭდილია მესამე გვერდის მესამე სვეტზედ: „ჩვენ ვლალადებდით, სავსენი წმიდითა სასოებითა, ღმერთს წმიდის სიყვარულის... უნდა იყოს: „ჩვენ ვლალადებდით, სავსენი წმიდითა სასოებითა, ღმერთას წმიდის სიყვარულის...

დაბეჭდილია: და არ ვფიქრობდით მაშინა, რომ იგი ღმერთათვის... უნდა იყოს: და არ ვფიქრობდით მაშინა, რომ იგი ღმერთა თვის...

დაბეჭდილია: ორივ ჭკუა-თხელი მოხუცი შეყრილობა სენატში... უნდა იყოს: ისივ ჭკუა-თხელი შეყრილობა სენატში...

ბოლო სვეტში სიტყვებიდამ: „ამ დროს მუშაობდნენ „Лит. Лист.“-ში სიტყვებამდე: „რომ ჯერ დაიწერა და მერე დაიბეჭდა“ შეცდომით დაბეჭდილია ტექსტში. უნდა იყოს დაბეჭდილი სხოლიოში შენიშვნად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ხეითი** (გორის მაზრა). ხოლერა მოედო თითქმის მთელს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ უფრო ფართოდ გაიშალა სოფლებში, საიდგანაც შეუბრალებლად მიჰყავდა მსხვერპლად მუშა ხალხი. ქალაქებში, სადაც მეტი ძალ-ღონეა, ვიდრე სოფლებში ნივთიერად, თუ განათლების მხრით, ამ შეუბრალებელმა ჭირმა ფეხი ვერ მოიმაგრა. მაგალითად ტფილისიდგან თითქმის გამოიდევნა, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან, როგორც ადგილობრივი ადმინისტრაცია, აგრეთვე ქალაქის მოურავი და სანიტარები ექიმებითურთ. ხოლო დანაშაულია როგორც ტფილისი, ისე სხვა ქალაქები, რომ მარტო თავიანთი თავი ახსოვდათ, სოფლელები-კი მივიწყებას მისცეს. ყველამ იცის, რომ ჩვენი სოფლის ხალხი ღარიბი და გაუნათლებელია, იმას თავის ღონით ბრძოლა არ შეეძლო ამ საშინელ მტერთან. პირ-იქით თავიანთ უგუნურობით ექიმების წამლობა ხოლერის წინააღმდეგ ცოდვადაც მიაჩნდათ, ან არა და არ ენდობოდნენ ექიმსა. მე მივიყვანე ცხინვალის ექიმი რამდენსამე ავადმყოფთან, რომლებიც არა სვამდნენ ექიმის წამალს, მე რომ არ ჩამეგონებინა, წამლის დალევა საჭიროა. ექიმმა ცისკარაშვილმა ნდობის მოსაპოებლად და სიბრალულისა გამო, საწყალ გლეხებს ნივთიერი დახმარებაც აღმოუჩინა. ამ გვარად დაცემულ ხალხს გულ-შემატკივარი კაცი უნდა, არა თუ შორიდგან წუხილი და კვნესა. მათი სიყვარული ჩვენ მაშინ გვახსოვს, როცა ყელ-მოღერებულნი ვსხედვართ და ვსვამთ, როცა კალმისა და ენის წვერს ვატრიალებთ. საქმით გულ-შემატკივრობას-კი ცოტანი ამტკიცებენ. განა ქალაქის წარმომადგენლებს ასეთი მოკლე-ფეხება თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეთ, რომ თავიანთი საწყალი მოძმენი აღარ ახსოვდეთ?! მარტო ლიბერალური ფრაზები არა კმარა. განა არ მოხერხდებოდა, რომ ქალაქელთა ხარჯით ექიმები მიჰშველებოდა სოფლებს? თუ ქალაქის მცხოვრებნი იმასა ჰფიქრობდნენ, რომ ჩვენ ჩვენს თავს ვუშველოთ, იმათ თავიანთ თავსაო, ეს დიდი შეცდომაა. ჩემის ფიქრით, ქალაქსა და სოფელს შუა ერთი დაურღვეველი კავშირი უნდა იყოს. უსამართლობა იყო აგრეთვე, რომ ადგილობრივმა მთავრობამ არ აღმოუჩინა ნივთიერი შემწეობა სოფელს. გლეხ-კაცს იმდენი ამაგი მიუძღვის, რომ ყველასაგან თანაგრძნობის ღირსია.

მე ჩემის მხრით ვიტვირთე ორის სამამასახლისოს მეთვალყურობა, ვსცდილობდი, რაც შემეძლო, მაგრამ რას იზამს კაცი უწამლოდ, უექიმოდ, უფულოდ! მართალია, ცხინვალის ექიმი თავს არა ჰზოგავდა ხალხის დასახმარებლად, მაგრამ ერთი კაცი რას გახდება 60—80 სოფელში?! ადგილობრივი ადმინისტრაციის ძალ-ღონეც მცირეა ამ შემთხვევაში: ცხინვალის ბოქაულს აბარია 35 სამამასახლისო; რომელს ერთს სოფელს უნდა მოუაროს ამ შემთხვევაში? სოფლის მოხელენი ვერაფერს ვერ ეხმარებოდნენ თავიანთ მოძმეებს; საცა-კი შეეძლოთ თავს არიდებდნენ ჭირში თავიანთ მეზობლებს. ან-კი რა საკვირველია: ესენიც ამათი გაუგებარი ძმები არ არიან?! გარდა ამისა, ესეც უნდა ვსთქვა, რომ არ ეძლეოდათ დროზედ სადეზინფექციო წამლები, რომ რისიმე იმედით მიებედათ მისვლა ავადმყოფთან. ფასით რომ გნდომებოდათ შოვნა კარბოლკისა, სულემისა, ვერ იშოვნიდით ცხინვალში. აბა, რა ჰქნას კაცმა ამ გარემოებაში?! ჩვენი ერთად-ერთი იმე-

---

— უნამუსო!.. უეცრივ წამოიძახა ერთმა ვიღაცა მთიულის ბალღმა, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა და თოფნაკრავივით ალაგობრივ გაშეშდა. უცნობი გაფითრდა და გაყვითლდა, როცა ამათ თვალი შეასწრო, და ტანის ცახ-ცახი აუვარდა.

— რაისთვის არ გინდა მაკოცნინო, ქალავ! ალერსიანად უთხრა ბარამმა, როცა ქალმა ტუჩებზედ ხელი მიაფარა და საკოცნელად გაწვდილი და დამზადებული ტუჩები იქით მიუღო, რაზედაც ნიკოლამ და ნინიამ სიცილი ასტეხეს.

— არა, შენ არ გაკოცნინებ! აგერა ის მოვიდეს, იმას ვაკოცნინებ, იმას ჟუჟუნა თვალები აქვს, უთხრა ქალმა და ნინიაზედ მიიშვირა თითი.

— ბილწს, ის უნდა მიიყვანოს! კანკალით წაიბუტბუტა ყმაწვილმა და ერთი ნაბიჯი წინ წამოსდგა.

— ეხლავ, შენი კვნესამე!.. წამოიძახა ნინიამ და გვერდით მოუჯდა. ქალმა გადუღო კისერი და ნინიამაც გატაცებით კოცნა დაუწყო.

— უნამუსო! წამოიყვირა ბალღმა და ფოცხვერივით ხანჯალ-ამოღებული გადახტა ნინიასკენ.

ყმაწვილმა ხელიც აჰმართა, უნდოდა დაეკრა ქალისთვის, მაგრამ ამ დროს ბარამმა მკლავი დაუჭირა.

— რას ჩადი, ბალღო? შეუტია ბარამმა და იქით მიაყენა.

ყმაწვილი გატრიალდა, რა-კი ხანჯლის დაკვრა ვერ მოასწრო და ამოღებული ხანჯალი ისევ ქარქაშში ჩააგო.

— ბალღო, რაისთვის გინდოდა მოგეკალ? ჩაჟინებით ჰკითხა ნინიამ, როცა ყმაწვილთან მივიდა და ხელი დაუჭირა.

— ხელი უშვი!.. შენ წადი, აი ის უნამუსო ლოშნე!.. ამაყად უპასუხა ყმაწვილმა და ხელი გააშვებინა.

— ბალღო, ბედის წერამ ხომ არ აგიგდო?!

ნინია რომ ყმაწვილს ელაპარაკებოდა, ბარამი და ნიკოლა ისევ მოუსხდნენ ქალებს და სიმღერა დაიწყეს.

— უნამუსოები! წამოიძახა ყმაწვილმა და გაბრუნდა.

— ბალღო, ბედის წერამ ხომ არ აგიგდო მეთქი?! მე ცოტა მეყოფის, მთიული ვარ!

— მთიულია!.. დაცინვის კილოთი წამოიძახა ყმაწვილმა: შენ მთიული არა ხარ, არა!.. მთიული მაგას არ იზამ, რასაც შენ ჩადიხარ! წადი, ლოშნე აი ის უნამუსო.

— იუჩე, ბალღავ, თორემ აი ეხლავ თავს გაგაგდებინებ!.. შეუტია ნინიამ და ხანჯალი ამოიღო.

ყმაწვილი მოტრიალდა იმისკენ და ღმობიერად უთხრა:

— ნინიავ, ნინიავ, მამკალ, ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია!

ნინიას როგორღაც ეცნობა ეს ხმა, გაშრა და გონს ვერ მოსულიყო, თუ ეს ხმა სად უნდა გაეგონა:

— ბალღავ, მითხარი, საით მიცნობ?

— გიცნობ, ნინიავ; და შენ-კი ველარ მიცან?

— მითხარ, ვინა ხარ? კანკალით ჰკითხა ნინიამ.

— ველარ სცან შენი მარო?

— მარო!.. წამოიღრიალა ნინიამ და მოსახვევნად მიეტანა, მაგრამ მარომ ამაყად ჰკრა ხელი.

— არა, მე შენი მარო აღარ ვარ!.. აგერ შენა ის ლოშნე!... თითით ქალზედ ანიშნა და თითონ-კი გარედ გავარდა. ნინია გაშტერებული დარჩა, ვერ მიჰხვედრიყო, ცხადი იყო ეს ამბავი, თუ სიზმარი.

### IV

ქალი გავარდა და უგზო-უკვლოდ ხან აღმა ეცა და ხან დაღმა. ისე გამალებული გარბოდა, რომ კაცს ეგონებოდა, უკან მტერი მისდევსო: ქალი ჰფიქრობდა, ეშინოდა, რომ ნინია არ დასდევნებოდა და გზაში არ დაეჭირა. მირბოდა და უკან აღარ იხედებოდა. გაირბინა მთები, ტყეები და არ იცოდა-კია, სად მირბოდა. უეცრივ ავიდა ერთის მთის წვერს და ქვევით ჩაქანება უნდოდა, მაგრამ მთის მეორე მხარე მოფლეტილიყო, რომლის ძირშიაც ადიდებული არაგვი მოსჩქეფდა და მოჰქუხდა.

ქალი შესდგა. გადაჰხედა არაგვს და ტანში ჟრუანტელმა გაურბინა. ცოტა ხნის შემდეგ ცივმა ოფლმა დაასხა და კანკალმა აიტანა. „სადღა წავიდე, რაისთვის-ღა ვიცოცხლო?!“ წამოიძახა ქალმა და ქვითინი მორთო. ქვითინი ხმით ტირილად გარდააქცია, რასაც არაგვის შუილი ბანს აძლევდა. ტიროდა თავისს, ჯერ გაუშლელს ქალობას, სიცოცხლით გაუმაძღრობას და ესალმებოდა წუთისოფელს. „ნინიავ, ნინიავ!...“ წამოიძახა ქალმა, როცა ტირილით გული იჯერა: „რაისთვის მამკალ?... დაიწვი ჩემის ცოდით... არა!... არა! ლომისავ, ნუ მისმენ!... ნუ დაჰსწყომ ნინიას, აცოცხლე დიდხანს და ბედნიერად ამყოფე!... ნინიავ!... ჩემო ყველავ!... არა, ყველა აღარ მყავს!.. ყველაი დავკარგე!...“ წამოიძახა ქალმა და გადაეშო კიდეც არაგვში, რომელმაც ხარხარით დაუღო პირი და საჩქაროდ ჩანთქა...

შ. არაგვისპირელი

დი იყო სისუფთავე, რომელსაც ხელს ვუწყობდით ხეითში და ბარწემ-ქემერტში. მაგრამ ამ ორ სოფელსაც ეწვია ხოლერა და გახდა ავად 15 კაცი. ამათში იმსხვერპლა ხეითში ოთხი კაცი და სამიც ქემერტის სამამასახლისოში, მაგრამ, ღვთით მალე მოისპო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

10 სექტემბერს საფრანგეთმა იდღესასწაულა ასის წლის შესრულება რესპუბლიკის დაარსებისა. ამ დღეს მონარქიამ ადგილი დაუთმო რესპუბლიკას. უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, მონარქია საფრანგეთში ცოტა ადრე მოისპო, ე. ი. 29 ივლისს, როცა აღელვებულმა საფრანგეთმა ლიუდოვიკ მე-XVI-ს მეფობა ჩამოართვა. „29 ივლისმაო, სთქვა დანტონმა, საფრანგეთი ორ დასად გაჰყო: ერთს ისევ მონარქია სურდა და მეორეს რესპუბლიკა. 10 სექტემბერს რესპუბლიკამ გაიმარჯვა“. ადვილი არ იყო ეს გამარჯვება. „ჩვენი სურვილი—თავისუფლების მოპოვებააო, ამბობდა ხოლმე რობესპიერი, და ამ საქმისთვის ყოველ გვარს ღონისძიებას ვიხმართო». რობესპიერის აზრით რესპუბლიკის საქმე მხოლოდ ბრძოლა იყო მონარქიელების წინააღმდეგ. 1793 წლის კონსტიტუცია, რომელიც შეიმუშავეს ჯერ კონდორსემ და შემდეგ ერო-დე-სეშალმა, იმ დროს ჯერ განხორციელებული არ იყო. „საფრანგეთშიო, ეწერა 1793 წლის 12 აგვისტოს დეკრეტში, იმ დრომდე არ მოისპობა რევოლიუცია, ვიდრე ხალხის სრული თავისუფლება არ იქნება გამოცხადებულიო“.

10 სექტემბერს საფრანგეთმა იდღესასწაულა მესამე რესპუბლიკის გამარჯვება.

ამ დღესასწაულის გამო გაზეთი „Рус. Вѣд.“ სწერს:

> სწორედ ასი წელი შესრულდა მას აქეთ, რაც საფრანგეთში პირველი რესპუბლიკა დაარსდა. მეორე და მესამე რესპუბლიკამ დიდი ტანჯვა-მწუხარება გამოიარა და გაიმარჯვა კიდეც. რესპუბლიკამ დიდი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთს და შემდეგაც კიდევ ბევრი სასარგებლო საქმე აქვს გასაკეთებელი. არც ერთხელ არა ყოფილა საფრანგეთის რესპუბლიკა ისე მძლავრი, როგორც ამ ჟამად, მაგრამ არც ერთხელ არ სწოლია მას ისე მძიმე ტვირთი, როგორიც ეხლა აწევს. ხალხი დიდს რეფორმებს მოელის რესპუბლიკისაგან და იმედოვნებს, რომ ეხლანდელი მთავრობა გააუმჯობესებს სოციალურს მდგომარეობას და დაიხსნის მუშა ხალხს ფულის პატრონების ბატონობისაგან.

დიაღ, ბევრი იშრომა საფრანგეთის რესპუბლიკამ უკანასკნელ ასის წლის განმავლობაში, ვიდრე საპატიო ადგილს დაიჭერდა ევროპის სახელმწიფოთა შორის და დიდი ბრძოლა და შრომა მოელის შემდეგშიაც, ვიდრე განახორციელებს რევოლიუციის იმ სურვილს, რომელიც მას ისტორიამ უანდერძა.

**

ქ. ტამბოვში ხოლერიანთა საავადმყოფოს დაარსების გამო მომხდარ უწესოების შესახებ თ. მეშჩერსკი სწერს «Гражданинъ»-ში, რომ, თუმცა ხალხისათვის სწავლა-განათლება სასარგებლო არისო, მაგრამ მეორეს მხრით

> მე ვამტკიცებო, ამბობს ახირებულის გაზეთის ახირებული რედაქტორი, რომ გაუნათლებელს ხალხს ადამიანი უფრო ადვილად ჩააგონებს რასმეს, ვიდრე განათლებულსა. გაუნათლებელი კაცი უფრო კეთილშობილია, უფრო ჩვილი გულისაა, უფრო გრძნობიერია და უფრო გულწრფელიო.

მოდი და ნუ იტყვი: ახი არ იყო, რომ თავ. მეშჩერსკისთვის წერაკითხვა არ ესწავლებინათ?!

## რუსეთი

მოგეხსენებათ, რა საშინელი უწესოება მოახდინა რუსეთში მდაბიო ხალხმა ხოლერის საბრძოლელად მთავრობისაგან მიღებულ ღონისძიებათა გამო. ეს უწესოება მოხდა ჯერ ასტრახანსა და მერე სარატოვში. მდაბიო ხალხმა, რომელსაც წინ მიუძღოდნენ ქუჩის ბიჭ-ბუჭები, მთვრალნი და ლოთნი მამა-კაცნი და დედაკაცნი, დასწვა და დაანგრია უზარმაზარი შენობა სამკურნალოსი, გამოათრია იქიდამ ავადმყოფნი, სცემა მკურნალებსა და ფერშლებს, დაჰღვარა სისხლი უბრალოთა და უდანაშაულოთა და იქამდე გაკადნიერდა და დაჰკარგა გონება, რომ გუბერნატორსაც-კი ფანჯრები ჩაუმტვრია სახლში.

ამ ჟამად სარატოვის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ამ უწესოებათა მეთაურების საქმე და ბევრს დიდი და მძიმე სასჯელი განუწესა. ჰკითხულობთ გაზეთებში ამ საქმის გარჩევის დაწვრილებულს ამბავს და გიოცდებათ, ისე როგორ უნდა იყოს დახშული გონება გლეხ-კაცობისა, გონება ხალხისა, რომ მისვე სასიკეთოდ დაწყობილი საქმე მანვე დაჰგმოს, მისთვის თავგანწირულნი მანვე დასთრგუნოს და სასიკვდილოდაც-კი არ დაინდოს. იქამდე მივიდა ხალხის გაშმაგება, რომ უბრალო სისხლის დაქცევის წინაშეც-კი აღარ შესდგა. სარატოვის მთავარ-ეპისკოპოსმა გრძნობით სავსე სიყვა წარმოსთქვა ამ უწესოებათა შესახებ და ღვთის რისხვას იწვევდა მათთვის, ვინც კისრად იდვეს ასეთის სისხლის დანთხევა. რაღა ეთქმით ამას შემდეგ იმათ, ვინც ათასის უგუნურის მოსაზრებით ეწინააღმდეგება ხალხის განათლების საქმეს და ამტკიცებს, რომ დიდად საშიშია სახელმწიფოსათვის შეგნებული, გაგებული გლეხ-კაცობაო, რადგან ამისთანა გლეხ-კაცობა მუდმივი მუქარა იქნება წესიერებისა და მშვიდობიანობისაო. ან რაღა ეთქმით იმ, ვითომ და ერის მოყვარულ ვაჟბატონებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მდაბიო ხალხი ტრედივით ალალია, გულ-მშვიდი და მორჩილიო.

დაისაჯნენ სასტიკად უწესოების ჩამდენნი, მაგრამ ვითომ ეს კმარა, რომ მეორედ და მესამედ კიდევ არ გამეორდეს ასეთი ამბავი, სულ მცირე, ან სულელურის საბაბის გამო? გლეხ-კაცობა განა დამნაშავეთა დასჯით ჭკუას ისწავლის და მიხვდება, არა მე მტყუანი და უგუნური ვყოფილვარო? არა გვგონია. სამართალი ასწორებს კაცს, სასჯელი წურთნის ადამიანს, მაგრამ არა გონება-ბნელსა და გონება-დახშულს. სიბნელეს მხოლოდ სინათლე გაჰფანტავს. შეუგნებლობისა და უგუნურების ერთადერთი წამალი სწავლა-ცოდნაა, სკოლაა და სხვა არაფერი.

## უცხოეთი

**გერმანია**. მოგვყავს სიტყვა თ. ბისმარკისა, წარმოთქმული კისსინგენში ამას წინად: „ვეჭვობ, ასე დაიწყო ორატორმა, რომ გერმანიაში ნამდვილს მინისტრს ჰღირსებოდა ის პატივისცემა, რომლითაც მე დღეს დამხვდით“. ამ სიტყვებმა გამოიწვია ხალხში სიცილი, რადგან აქ ბისმარკმა სიტყვა კაპრივის გადაჰკრა. „ვიტყვი სიმართლეს, მე თითონ ასეთის პატივისცემით მინისტრობაში არასოდეს მომპყრობიხართ. მგონია, ეს ამბავი იმისი ბრალი უნდა იყვეს, რომ თქვენ ჩემს ღვაწლს გერმანიის გაერთიანების წინაშე დიდად აზვიადებთ. გერმანიის გაერთიანება ერთი კაცის უნარი არ არის. ამ აზრით იყო გამსჭვალული ჩვენი ერი მთელს საუკუნეს გონიერ კაცთა მეოხებით. აზრი გერმანიის გაერთიანებისა ტრიალებდა ხალხში 1830 წელსაც, 1848-საც და ყოველთვის, როდესაც იფეთქებდა ხოლმე დასავლეთ ევროპაში ეროვნული მოძრაობა“. შეცდომა 1848 წ., ამბობს ბისმარკი, ის არის, რომ ხალხმა არ იცოდა, რა ძალა ჰქონდა. ყველა ჩვენს მეცადინეობას, რომელიც ვერ განხორციელდება უძლურობისა გამო, უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა.

შემდეგ ილაპარაკა იმაზედ, თუ რა ვითარებაში იყო ევროპის საქმეები 1871 წლამდის და აქ პირდაპირ აღვიარა ბისმარკმა, რომ მე გამოვიწვიე საფრანგეთი საომრადაო: ბისმარკს არა სურდა, რომ გერმანიის ხალხის შეერთება უბრალო ჩრდილო-გერმანიის კავშირი ყოფილიყო. სხვაფრივაც-კი ხელს უშლიდა საფრანგეთი, როგორც მუდმივი მშვერავი მეზობელი. გერმანელნი მაშინ თუ მისცემენ მხარი მხარს, როცა მეტის-მეტგაჭირებაშიჩაცვივიანო და აი ბისმარკიც „უცდიდა“, როდის დაჰკარგვენ ფრანგები მოთმინებას და დაიწყობენ პირველად ომს. ვილჰელმ I არა სურდა ომი ავსტრიელებთან და დიდი წინააღმდეგი იყო ფრანგ-გერმანელთა ომისაც. ეს იმითი აიხსნებაო, სთქვა ბისმარკმა, რომ მეფე მაშინ უკვე 73 წლისა იყოვო.

„მე არ ვსცდილობდი, განაგრძო ბისმარკმა, დამეცვა სამეფო გვარის ინტერესები, არამედ მუდამ სახეში მყავდა ჩვენი ერი. მეგონა, მარტო დიკტატურას თუ შეეძლო გერმანიის ტომთა შეერთება, რომელიც ასე საძნელო საქმედ გარდაიქცა ჩვენთვის. ყოველი დასი ცალკე იწევს და არ ესმის, რომ უნდა ეტანებოდეს მარტო იმას, რაც შესაძლოა განხორციელდეს“. რომ უფრო მტკიცე ყოფილიყო ერთობა ხალხში, ამიტომ საჭიროაო, ამბობდა ბისმარკი, ერთმეფობა სახელმწიფოში და აგრეთვე ის, რომ ხალხი ერთი სურვილით ყოფილიყო გატაცებული. „ავი იყო, თუ კარგი ჩემი პოლიტიკა დასთა შეკრებისა (კარტეისა) 80 წლებში, მაინც სთქვა ბისმარკმა, აზრად ის მქონდა, რომ შემეკავშირებინა სხვა-და-სხვა ნაწილი განათლებული საზოგადოებისა. ჩემი ცდა არ განხორციელდა, მაგრამ ეხლაც გეტყვით ისევ: თუ გინდათ, რომ რეიხსტაგი სასურველად მოიქცეს, ნუ გაამწვავებთ ერთმანეთში უთანხმოებას“.

## წვრილი ამბავი

მოგვყავს სია ემილ ზოლას მიერ დაწერილი რომანებისა და ცნობანი იმის შესახებ, რამდენი ეგზემპლიარიც დაიბეჭდა თითოეული და რამდენი ფული აუღია ზოლას ამ რომანებში.

| | |
|---|---|
| ,,La Faute do I'Abbé Mouret | 44,000 |
| ,,Son Excellence Evgéne Rougon . . . . . . . . . . | 26,000 |
| ,,L'Assomoir" . . . . . . | 124,000 |
| ,,Uue page d'Amour" . . . | 75,000 |
| ,,Nana" . . . . . . . . | 165,000 |
| ,,Pot Bouille" . . . . . | 82,000 |
| ,,Au bonheur des dames" . . | 59,000 |
| ,,La Joie de vivre" . . . | 44,000 |
| ,,Germinal" . . . . . . . | 88,000 |
| ,,L'Oeuvre" . . . . . . . | 55,000 |
| ,,La Terre" . . . . . . . | 100.000 |
| ,,La Rêve" . . . . . . . . | 83,000 |
| .,La Bête humaine" . . . | 83,000 |
| ,,L'Argent" . . . . . . . | 77,000 |
| ,,La Débâcle" . . . . . . | 120,000 |
| სულ. | 1.332,000 |

ამ რომანებში ზოლას მიუღია 800,000 ფრანკი.

—პოლ ბურჟეს ახალი რომანები: „Coeur de femme“ და „Disciple-“ის დამწერს დიდი ხანია განზრახვა ჰქონდა დაეწერა რომანი ნარევი და აჭრელებულ საზოგადოების ცხოვრების შესახებ. ამისთანა საზოგადოება ამ ბოლო დროს ბლომად არის ყველა დასავლეთ-ევროპის უმთავრესს ქალაქებში. ამ რომანში ბურჟეს სურდა ეჩვენებინა, თუ როგორ ავრთფეროვნებს განათლება სხვა-და-სხვა მოდგმის და ტომის კაცებს, მაგრამ მაინც აქა-იქ მაღლა იწევს თავს იჩენენ ხოლმე მათის მოდგმისა და ტომის თვისებანი. ახლა ბურჟემ განახორციელა თავისი უგულითადესი სურვილი: პარიჟის წიგნების დამბეჭდველი ლემმერი ათავებს ბეჭდვას იმ რომანისას, რომელსაც სახელად ეწოდება „Cosmopolis-ი. „კოსმოპოლისი“—ქალაქია, და ასეთ ქალაქად ბურჟეს აუღია ნიცცა. ამ ტურფა სამხრეთის ბუნების საუცხოვო კუთხეში იშლება დრამატიული სურათი დიდად რთული ხასიათის პატრონთა ურთიერთის დამოკიდებულებისა. რომანი საინტერესოა იმ მხრით, რომ მომქმედნი ვნება-ღელვით იმდენად შეპყრობილნი არიან, რომ ყველას ტრაგიკული ბოლო მოელის: ზოგს დუელზე სიკვდილი, ზოგს თავის მოკვლა და სხვა...

„კოსმოპოლისის“ გარდა, პოლ ბურჟემ გაათავა მეორე ახალი რომანი, სახელად „Ferre promise“ (აღთქმული ქვეყანა). ამ რომანით ბურჟე სცდილობს გამოარკვიოს შემდეგი საგანი: აქვს თუ არა ზნეობრივი უფლება ცოლშვილიან კაცს, თუნდაც ერთის შვილის პატრონს—მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც თვითონ პირადი რწმენის მიხედვით ეხება, მიუხედავად იმისა, რომ ის ოჯახის პატრონია და არა თავისუფალი კაცი? ბურჟე ჩვეულებრივი ნიჭით და ხელოვნებით გვიკვლევს რომანის გმირის სულის კვეთებას, ბრძოლას. ეს ბრძოლა სწარმოებს ორ გრძნობათა შორის: როგორც მამას, იმას უყვარს თავისი სისხლ-ხორცის ნაყოფი—შვილი და მასთანვე სურს სრულად გაადამიანდეს, ესე იგი, როგორც მოითხოვს სრული ზნეობა: მეორედ დაიბადოს, განახლდეს და მიჰყოს ხელი ახალს ცხოვრებას.

— ელექტრონის ძალის სასწაულთმოქმედება. ბირმინგამის ქალაქში (ინგლისშია) ერთი გაზეთი ელექტრონის ძალით იბეჭდება. მაგრამ ეს ახალი ამბავი როდია. ინგლისში ერთი პროვინციელი გაზეთია, სახელად Manchester Guardian“, რომელიც, კარგა ხანია რაც იბეჭდება ელექტრონის ძალით: ელექტრონს მოძრაობაში მოჰყავს მსწრაფლმბეჭდავი მაშინა. ელექტრონის ძალა ახლა სხვა საქმისათვისაც გამოუყენებიათ. მაგალითად, იტალიაში მოუგონიათ ამას წინედ ერთი საკრავი, სახელად ორღანგარმონი; ამ ორღან-გარმონში ელექტრონის ძალას მოძრაობაში მოჰყავს საკრავის ფირფიტები სამუსიკო ხმების გამოსაცემად.

მაგრამ ახლა რომ ამერიკაში მანქანა მოუგონიათ, ეს-კი ბევრად გადააჭარბებს ხსენებულს მანქანებს. ქუჩის მოსარწყავად მოუგონიათ ელექტრონის აპარატი, ცხენის რკინის გზის ვაგონის მსგავსი... ვაგონი რკინის ლიანდაგზედ დადის; აქვს აუზი, წყლით სავსე, აქეთ-იქით დატანებული აქვს ვაგონს ბევრი პატარ-პატარა ხვრელებიანი მილი, რომლიდგანაც ჩქეფავით გადმოდის ქუჩებზედ წყალი. წყლის წინწკლები სწორედ გადმოდის ქუჩებზედ და როდი უშლის ვაგონში ხალხს ჯდომას. ამ ნაირად ამ ახალი მანქანით ერთსა და იმავე დროს ქუჩებიც ირწყვის და ხალხიც დადის.

## წერილი რედაქციისადმი

ნება მიბოძეთ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ტფილისის სასულიერო სემინარიაში კურს-შესრულებულთ, რომელთაც გამოიჩინეს გულ-მხურვალე თანაგრძნობა და კაპეიკობით შეკრებილ ფულით იყიდეს სხვა-და-სხვა ქართული წიგნი ორმოც-და-თხუთმეტის მანეთისა და შემოსწირეს „სამეგრელო-საჯარო წიგნთსაცავს“.

აი სია შემომწირველთა: ს. ანდღულაძე, ი. აბესაძე, მ. ალბუტაშვილი, გ. გამრეკელი, ბ. კირსალაძე, გ. ღვინიაშვილი, ს. დევიძე, ი. დუჩინსკი, გ. კაციაშვილი, გ. ლაზარიშვილი, ნ. ლეჟავა, ვ. მგელაძე, ი. მიქაძე, ეგ. მენთეშაშვილი, ი. ომანიძე, ს. სვანიძე, ა. ფოფხაძე, ი. თებზაძე, კ. ხელაშვილი, გ. ხუსკივაძე, გ. წერეთელი, ს. წერეთელი, ი. ცარიკოვსკი, ს. ჩიქვანი, კ. ჩხიკვაძე, ს. ჩიხლაძე, რ. ჭალაგანიძე.

„სამეგრელოს“ საჯარო წიგნთ-საცავის“ გამგეობის წევრი

ბ. მიქაძე

დ. ახალ-სენაკი

## დეპეშა

12 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ნება-რთვა ხორბლის იმიერკასპიის მხრიდგან სპარსეთში გატანისა.

უმაღლესად ნაბრძანებია, რომ დროებით აიკრძალოს საზღვარ-გარეთიდგან შემოტანა ფალასეულობისა, ძველის ტანთსაცმელისა და ნახმარ ლოგინისა, ბუმბულისა, თმებისა და თივთიკისა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე კაბატი დანიშნულ იქმნა შინაგან საქმეთა სამკურნალო დეპარტამენტის დირექტორად.

გუშინ ალექსანდრე ნეველის მონასტერში ახლად აგებულ ისიდორეს ეკკლესიაში მიწას მიაბარეს გვამი მიტროპოლიტის ისიდორესი. სამღვ-

დელოებას წინ მიუძღვოდა კიევისა და მოსკოვის მიტროპოლიტები. ტაძარში განსვენებულის ანდერძის აგებას დაესწრნენ: მათნი უმაღლესობანი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ, პავლე ალექსანდრეს ძე, მარიამ პავლეს ასული, კონსტანტინე და დიმიტრი კონსტანტინეს ძენი, ადმინისტრაციისა და სამხედრო უწყების უმაღლესნი წარმომადგენელნი და დეპუტაციები.

ეგზამენები იმ სტუდენტებისა, რომელნიც სამხედრო სამკურნალო აკადემიის უკანასკნელს კურსზედ სწავლობენ და ხოლერიან ადგილებში არიან გაგზავნილნი, გადადებულია 7 იანვრამდე.

პეტერბურგში ხოლერა სუსტდება; გუშინ ავად გახდა 19, მორჩა 36, გარდაიცვალა 13, ხოლერა სუსტდება პროვინციებშიაც. თავი იჩინა ამ სენმა რიგასა და ბოლღრიაში, მაგრამ 5-დგან 9 სექტემბრამდე იქ სულ 16 გახდა ავად და იმათში 8 გარდაიცვალა.

„Бирж. Вѣд.“-ი ამბობს, რომ განზრახვა აქვთ, კვლავ შემოიღონ მარილის გარდასახადი, ნავთის აქციზს მოუმატონ, თამბაქოს და არყის მონაპოლიები დაადგინონ. ეს ცვლილებანი თუ იქმნება შემოღებული, მხოლოდ გულდასმით განხილვის შემდეგო.

„Новое Время“ იუწყება, რომ იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს სამელიორატივო სესხის დებულების შემუშავება, საჭიროდ დაინახა მიიხმარონ საერობო დაწესებულებანი, რის გამოც აზრად აქვთ ეს სესხი პირველში მხოლოდ იმ გუბერნიებში შემოიღონ, სადაც ერობაა დაწესებული, და შემდეგ სხვებში.

**სიმლა.** ემირმა გამოსცა პროკლამაცია, რომელიც მიკრული იყო ჯელალ-აბადს კარებზედ. პროკლამაციაში ემირი სხვა-და-სხვა ტომს უცხადებს, ინგლისის ჯარის ორის ბრიგადიისათვის გავგზავნე, რომ მომეხმარნენო; ეს ჯარი ამუდარიის ნაპირებზედ დაბანაკდება, რომ რუსები უკუ-აქციონ.

**ნიუ-იორკი.** აქაურს თორაში, რომელიც სამ-სართულიანი შენობაა, ებრაელთა ახალ წლის გამო 1,000-მდე სული შეიკრიბა, უმეტესად დედაკაცობა, გაისმა ხმა „სახლს ცეცხლი წაეკიდაო“ და ხალხი აირ-დაირია. ყველანი კიბეს მოაწყდნენ, რამდენიმე კაცი ფეხ-ქვეშ გაიტანეს, ოთხი გარდაიცვალა და 12 მძიმედ დაშავდა.

დღეს ნიუ-იორკში ერთი კაცი გარდაიცვალა ხოლერისაგან.

13 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითნი უმაღლესობანი, დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული და დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე გუშინ საზღვარ გარედ წაბრძანდნენ.

„С.-Петерб. Вѣд.“-ს გაუგონია, რომ კერძო გამსესხებელ კასების წესებს განსაკუთრებული კომისია გადაათვალიერებს და ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნიცაო.

**ჰელსინგფორსი.** დღეს გამოაცხადეს ფინლიანდიის სენატში შემოღებული ცვლილებანი. საზოგადო კანცელარიასთან დაარსებული საექსპედიციო კანცელარია გაუქმებულია; დაწესდება რამდენიმე ექსპედიცია: ეკონომიის დეპარტამენტთან იუსტიციისა და გზათა სამინისტროსი და დეპარტამენტის განსაკუთრებული კანცელარია. იუსტიციის დეპარტამენტის სენატორები და ეკონომიის დეპარტამენტის სამი სენატორი უეჭველად იურიდიულ მეცნიერების მცოდნენი უნდა იყვნენ. სენატორებად დანიშნულ უნდა იქმნენ ან ფინლიანდიელნი და ან ამ ქვეყანაში დასახლებულნი, რომელთაც სამოქალაქო უფლებანი მოპოვებული აქვთ. ორისავე დეპარტამენტის საზოგადო კრება მხოლოდ იმ საქმეებს განიხილავს, რომელთაც უმაღლესი მთავრობა აღნიშნავს მათდა განსახილველად.

14 სექტემბერი

**პარიჟი.** პოლკოვნიკი დოდსი დეპეშით აუწყებს ზღვათა მინისტრს: 19 სექტემბრის ბრძოლა იმითი დაბოლოვდა, რომ დაგომეის ჯარის საუკეთესო ნაწილი დავამარცხეთო.

**ვენა.** ერცჰერცოგს ფრანც ფერდინანდ დ'ესტეს მიენდო, რომ, როდესაც ქვეყნის გარშემო მოგზაურობას დაიწყებს, სავაჭრო ხელ-შეკრულობა დაუდოს კორეასო.

**ლონდონი.** ინდოეთის მთავრობა სამხედრო ექსპედიციასა ჰგზავნის შავს მთებში ატეხილს ამბოხების დასამშვიდებლად.

**ბიარრიცი.** დღეს აქ დიდის ამბითა და დღესასწაულით აკურთხა პარიჟისა და ადგილობრივმა კრებულმა აქაური მართლ-მადიდებელთა ეკლესია. კურთხევას დაესწრნენ ჰერცოგი გიორგი მაქსიმილიანეს ძე ლეიჰტენბერგელი, მისი მეუღლე და რუსეთის ელჩი ბარონ მორენჰეიმი. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ეკლესია ძალიან ლამაზია. კურთხევას შემდეგ გამართული იყო საუზმე; სხვათა შორის, საუზმეზედ იყვნენ ჰერცოგი ლეიჰტენბერგელი, რუსეთის ელჩი და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელნი.

პეტერბურგის ბირჟა, 11 სექტ.

| | მყიდველთა ფასი | გამყიდველთა ფასი | გაყიდულთა ფასი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,88 | 7,91 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 157 1/2 | 158,37 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 216 3/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102 1/4 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102 1/4 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98,12 |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით-დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 3 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 7 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „


## განცხადებანი

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—107)

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

**საქართველოს კალენდარი**

1893 წლისათვის,

შედგენილი და გამოცემული **ვალერიან გუნიას მიერ.**

კალენდარი კვლავინდებურად დასურათებული, უფრო სრული და ყოველის ცნობით სავსე იქნება. ფასი ისევ ის დარჩება. მიიღება დასაბეჭდად ყოველ გვარი განცხადებანი. ფასი წიგნის თითო გვერდისა საგანცხადებოდ თავში 12 მ., ბოლოში 5 მან., ნახევარი გვერდი 3 მან.

მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ: 1) გამომცემელს სათავად-აზნაურო ბანკში; 2) წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში და 3) მაქსიმე შარაძის სტამბაში. (10—4)

მოსწავლეთათვის

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში

**ქუთაისში**

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

**ასობით** 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—5)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბალდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდამ. (50—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.